სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება

დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა

სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება
დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა

2019

დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“(EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

დოკუმენტის გამოცემაზე პასუხისმგებელი: სოფო ვერძეული, ლევან ავალიშვილი
ავტორი: მაია ტალახაძე, ქეთევან კუკავა

რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი
დამკაბადონებელი: თორნიკე ლორთქიფანიძე
გარეკანი: სალომე ლაცაბიძე

ტირაჟი: 150

ISBN: 978-9941-8-1825-7

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 233706
www.emc.org.ge
info@emc.org.ge
https://www.facebook.com/EMCRIGHTS/

სარჩევი

შესავალი 6
მეთოდოლოგია 7
ძირითადი მიგნებები 8
საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური
პასუხისმგებლობის სისტემის შეფასება 11
I. სამართლებრივი ჩარჩო 12
II. სტატისტიკური მონაცემები 18
III. დამოუკიდებელი ინსპექტორის განზოგადებული დასკვნები 21
IV. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები 24
1. საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება 26
2. მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება 27
3. სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა 30
4. უკანონო გადაწყვეტილების გასაჩივრება დისციპლინური წესით 31
V. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებები 32
VI. სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები 36
რეკომენდაციები 37

შესავალი

წინამდებარე ანგარიში მომზადდა „სასამართლო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის (FAIR)“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც, ევროკავშირის მხარდაჭერით, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) პარტნიორ ორგანიზაციებთან, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტსა“ (IDFI) და „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან“ (CRRC-საქართველო) ერთად ახორციელებს. დოკუმენტი მიზნად ისახავს, შეაფასოს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის“ ცვლილებების შემდეგ.

რეფორმის „მესამე ტალღის“ ცვლილებები, რომელმაც მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემაში არაერთი სიახლე დანერგა, 2017 წლის 8 თებერვლით თარიღდება. ცვლილებების შედეგად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შეიქმნა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური და განისაზღვრა ინსპექტორის უფლებამოსილებები; მოსამართლეს მიენიჭა უფლებამოსილება, მოითხოვოს დისციპლინური სხდომების გასაჯაროება; განისაზღვრა დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის ვადები; იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაეკისრა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და აღნიშნული გადაწყვეტილების ვებგვერდზე გამოქვეყნების ვალდებულება და სხვ.

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიში რიგით მეორეა და მოიცავს 2019 წლის 1-ლი იანვრიდან 2019 წლის 1-ლ სექტემბრამდე პერიოდს. პირველმა ანგარიშმა, რომელიც 2019 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა,[1] მოიცვა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმებისა და საერთაშორისო სტანდარტების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სადისციპლინო კოლეგიისა და პალატის იმ გადაწყვეტილებების ანალიზი, რომელიც მიღებულ იქნა სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ ძალაში შესვლიდან 2019 წლის პირველ იანვრამდე.

1 იხ. „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მონიტორინგის ანგარიში: სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – საქმეთა ელექტრონული განაწილება, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა (2019). [ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/assessment_of_the_judicial_reform, წვდომის თარიღი: 01.09.2019]

მეთოდოლოგია

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიშზე მუშაობისას პროექტის გუნდმა კვლევისა და ინ-ფორმაციის მოძიების შემდეგი მეთოდები და წყაროები გამოიყენა:

კანონმდებლობის ანალიზი – მონიტორინგისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუ-მენტი იყო „მესამე ტალღის" რეფორმის შედეგად ფორმირებული საკანონმდებლო ჩარჩოს[2], ასევე რეფორმის „მეოთხე ტალღის" ფარგლებში შემუშავებული კანონპროექ-ტის ანალიზი;

საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების ანალიზი – შიდა საკანონმდებ-ლო ნორმატიული ჩარჩოს გარდა, პროექტის გუნდმა შეისწავლა საერთაშორისო გა-მოცდილება და შეაფასა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა მნიშვნელოვან რეკომენდაციებსა და სტანდარტებთან;

მეორადი წყაროების ანალიზი – კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების შეფასებისას დამატებითი წყარო იყო აგრეთვე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები, კვლევები და შე-ფასებები. ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2017-2018 წლების პირველ წლიურ ანგარიშს;

პრაქტიკის ანალიზი – საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში აღსრულების შესა-ფასებლად გაანალიზდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატების გადაწყვეტილებები;

სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვა და დამუშავება – პროექტის გუნდმა ინტენსიურ რეჟიმში რამდენიმე ეტაპად გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია დამოუკიდებელი ინსპექ-ტორის სამსახურიდან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან და სადისციპლინო კოლეგიიდან.

2 მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის მარეგულირებელი ნორმები, ასევე საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების დეტალური ანალიზი განხილული და შეფასებულია მონიტორინგის ანგარიშის პირველ ნაწილში.

ძირითადი მიგნებები

უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის სხვადასხვა პერიოდებში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები ერთმანეთისგან არსებითად არ განსხვავდება. თუმცა წინამდებარე მონიტორინგის ანგარიში დამატებით მოიცავს სასამართლო სისტემის რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში შემუშავებული, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების შემცველი კანონპროექტის შეფასებას და შემდეგი ძირითადი მიგნებებით ხასიათდება:

- სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში მოსამართლეს, მართალია, მიეცა საშუალება, სურვილის შემთხვევაში გაასაჯაროოს დისციპლინური სხდომები, თუმცა აღნიშნული უფლებით დღემდე კვლავ არცერთ მოსამართლეს არ უსარგებლია;

- მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წევრს მიეცა საშუალება წერილობით დააფიქსიროს საკუთარი განსხვავებული აზრი, დღემდე საბჭოს არცერთ წევრს აღნიშნული უფლებით არ უსარგებლია;

- მიუხედავად იმისა, რომ „მესამე ტალღით“ მკაცრად განისაზღვრა დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის ვადები, სამართალწარმოება მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად, დღემდე ვადების დარღვევით მიმდინარეობს და დისციპლინური სამართალწარმოება ჭიანურდება;

- ინსპექტორის სამსახურში კვლავ ჭარბობს აქტის კანონიერების საფუძვლით შესული დისციპლინური საჩივრები, მიუხედავად იმისა, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს კანონმდებლობით დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა;

- იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინურ საკითხებზე სხდომებს კვლავ არასაკმარისი სიხშირით ატარებს, რაც დისციპლინური სამართალწარმოების გაჭიანურების დამატებით განმაპირობებელი ფაქტორია;

- „მესამე ტალღის“ ამოქმედებიდან დღემდე, მოსამართლე დისციპლინურ პასუხისგებაში ყველაზე ხშირად საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებისთვის მიეცა;

- პრაქტიკაში სასამართლო ეთიკის ნორმების დარღვევას ფართო ინტერპრეტაცია აქვს, რაც ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკს წარმოშობს;

- სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტი ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის სახეების კონკრეტულ და ამომწურავ ჩამონათვალს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს;

- პრობლემურია კანონპროექტში არსებული დათქმა იმის თაობაზე, რომ დისციპლინურ გადაცდომად არ მიიჩნევა ისეთი ქმედება, რომელიც, მართალია, ფორმალურად კი შეიცავს კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, თუმცა მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია იმგვარი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენისთვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას ან ასეთი ზიანის საფრთხე არ შეუქმნია. ჩანაწერის ამგვარი ბუნდოვანება მისი არასწორად და სუბიექტურად გამოყენების რისკს წარმოშობს;

- პრობლემურია, რომ შემუშავებული კანონპროექტი არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოსამართლის ქმედებისთვის, რომელიც ნათლად ჩამოყალიბებულ სამართლის ნორმას ეწინააღმდეგება და რომელთან დაკავშირებითაც არ არსებობს ბუნდოვანება, თუ აღნიშნული ქმედება მოსამართლემ ჩაიდინა ცხადი და დამაჯერებელი არაკეთილსინდისიერებითა და ადამიანის უფლებების უპატივცემულობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (legal error plus);

- კანონპროექტით იცვლება დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების წესი და გათვალისწინებულია გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა, ასევე, მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება საკანონმდებლო დონეზე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა კვლავ ხარვეზიანია დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე არჩევის წესი, რაც ვერ უზრუნველყოფს ინსპექტორის სათანადო ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას;

- შემუშავებული კანონპროექტი განსაზღვრავს მტკიცების სტანდარტს დისციპლინური სამართალწარმოების საწყის ეტაპებზე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს;

- დღეს მოქმედი კანონმდებლობის მსგავსად, არც „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტი ითვალისწინებს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე გამოქვეყნებას. დასკვნები ხელმიუწვდომელია საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნის შემთხვევაშიც, რაც გამჭვირვალობის კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს;

- შემუშავებული კანონპროექტი ითვალისწინებს დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნებას, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, გამჭვირვალობის კუთხით, მნიშვნელოვანი ხარვეზია ის, რომ არ ქვეყნდება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

- „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტი არ ითვალისწინებს სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ხარვეზის აღმოფხვრას. მოქმედი კანონმდებლობით, შესაძლებელია, კოლეგიის საერთო შემადგენლობის 5-დან ორმა წევრმა (თუკი კოლეგიას სამი წევრი ესწრება) მოსამართლე ბრალეულად ცნოს და დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი დააკისროს, რაც საფრთხეს უქმნის დისციპლინური სამართალწარმოების სამართლიანობას.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის შეფასება

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა ანგარიშვალდებული მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფას ემსახურება. დემოკრატიულ სახელმწიფოში, სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია[3] და ინდივიდუალური მოსამართლეებისგან შედგება. დამოუკიდებელი მოსამართლე გადაწყვეტილებას საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებს და არავის აქვს უფლება, მოსამართლეს მოსთხოვოს ანგარიში ან მიუთითოს, როგორი გადაწყვეტილება მიიღოს კონკრეტულ საქმეზე.[4]

მოსამართლის დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი არ არის პრივილეგია, ის ამავე დროს ანგარიშვალდებულია მართლმსაჯულების მაძიებელ პირთა წინაშე. დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა სწორედ მოსამართლის ანგარიშვალდებულების ერთ-ერთი მექანიზმია, ვინაიდან მუდამ არსებობს მოსამართლის მხრიდან არასათანადო და არაკეთილსინდისიერი ქმედების რისკი.[5] ამავე დროს, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხესაც[6] შეიცავს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემამ უზრუნველყოს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის პრინციპისადმი პატივისცემა და განხორციელდეს პოლიტიკური გავლენებისაგან თავისუფალი და დამოუკიდებელი ორგანოს წინაშე.[7]

3 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 59.

4 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი.

5 Robert H. Tembeckjian Judicial Disciplinary Hearings Should Be Open, The Justice System Journal, vol. 28, November, 2007. გვ. 419.

6 სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე.

7 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა №10, მართლმსაჯულების საბჭო საზოგადოების სამსახურში, პუნქტი 63.

I. სამართლებრივი ჩარჩო

მონიტორინგის პერიოდში საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელ ნორმებში ცვლილებები არ განხორციელებულა. შესაბამისად, კანონმდებლობის ხელახალი შეფასება არ მომხდარა. ნაცვლად ამისა, შეფასდა სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის" ფარგლებში შემუშავებული, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების შემცველი კანონპროექტი, რომელიც კანონმდებლობაში შესატან პოტენციურ ცვლილებებს გულისხმობს.

2019 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა საქართველოს ორგანული კანონის პროექტები: „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „ნორმატიული აქტების შესახებ" ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე[8] (სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღა"). რეფორმის „მეოთხე ტალღა" სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის არსებითად მნიშვნელოვან საკვანძო და აქტუალურ საკითხებს ეხება, მათ შორის, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის რეფორმას.

შემუშავებული ცვლილება ითვალისწინებს დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის გაუმჯობესებულ რეგულირებას, თუმცა ცალკეული ხარვეზები კვლავ გამოწვევად რჩება. ამასთან, დღეს არსებული გამოწვევების აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია პარლამენტმა დროულად მიიღოს შემუშავებული კანონპროექტი.

ა) მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის სახეები

სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის" ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტით განისაზღვრება დისციპლინური გადაცდომის სახეების კონკრეტული და ამომწურავი ჩამონათვალი. დღეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის სახეები არაერთხელ გამხდარა საერთაშორისო[9] და ადგილობრივი ორგანიზაციების[10] მკაცრი კრიტიკის საგანი. მოსამართლის დისციპლინური გადაცდო-

8 ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/18385, წვდომის თარიღი: 01.09.2019

9 ვენეციის კომისიის 2014 წლის დასკვნაშიც მეორდება ჯერ კიდევ 2007 წელს გაცემული რეკომენდაცია პასუხისმგებლობის საფუძვლების გადახედვის აუცილებლობის თაობაზე და აღნიშნულია, რომ უფრო ზუსტად განისაზღვროს ისეთი ფორმით, რომ გამოირიცხოს მათი გამოყენება სხვა მიზნებისთვის, გარდა დისციპლინური სამართალწარმოების ნამდვილი მიზნებისა, CDL-AD(2014)032, § 27.

10 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი", „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება", 2019, გვ. 52-59. [ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/rule_of_law/GEO_WEB.pdf, წვდომის თარიღი: 01.09.2019]
კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, „სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები", 2017, გვ. 121-124. [ხელმისაწვდომია: http://www.coalition.ge/files/_____.pdf , წვდომის თარიღი: 01.09.2019]

მის დღეს არსებული ზოგადი სახეები ფართოდ განმარტების შესაძლებლობას იძლევა, რაც ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკს წარმოშობს.

შემუშავებული კანონპროექტი ითვალისწინებს გადაცდომების კონკრეტულ ჩამონათვალს და არ მოიცავს მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვან შესრულებას[11], როგორც დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს, ასევე აღარ უთითებს სამოსამართლო ეთიკის ნორმებზე[12], რაც მისასალმებელია. დადებითად უნდა შეფასდეს იმ კორუფციული სამართალდარღვევების დაკონკრეტებაც, რაც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს.

მიუხედავად აღნიშნული დადებითი ცვლილებებისა, შემუშავებული კანონპროექტი კვლავ არ ითვალისწინებს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზანს[13]. კანონში ნათლად გაწერილ მიზანს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან გარკვეულ მიმართულებას აძლევს და ამარტივებს სამართალწარმოებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ასევე უზრუნველყოფს მისი არამიზნობრივი გამოყენების თავიდან აცილებას.[14]

გარდა ამისა, პრობლემურია კანონპროექტში არსებული დათქმა იმის თაობაზე, რომ დისციპლინური გადაცდომა არ არის ისეთი ქმედება, რომელიც, მართალია, ფორმალურად კი შეიცავს კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია იმგვარი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენისთვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას ან ასეთი ზიანის საფრთხე არ შეუქმნია. ამგვარი ბუნდოვანი ჩანაწერი მისი არასწორად და სუბიექტურად გამოყენების რისკს წარმოშობს. მოსამართლის ქმედების შედეგად დამდგარი ნაკლები ზიანი შესაძლოა იყოს შემამსუბუქებელი და არა ბრალის გამომრიცხავი გარემოება.

როგორც დღეს მოქმედი, ისე კანონპროექტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის სახეები, პირდაპირ არ ითვალისწინებს მოსამართლის დისციპლინურ

11 გადაცდომის აღნიშნული სახე არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი. დეფინიციის არარსებობის გამო, ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობაში ან არაჯეროვან შესრულებაში, რაც დისციპლინური პასუხისმგებლობის მოსამართლის მიმართ არაკეთილსინდისიერად გამოყენების რისკს წარმოშობს. „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ. 53.

12 საკანონმდებლო დონეზე დისციპლინური დარღვევების ზუსტი ჩამონათვალის აუცილებლობასა და სასამართლო ეთიკაზე მითითების გაუქმებაზე საუბარი იყო ვენეციის კომისიის 2014 წლის დასკვნაში. გარდა ამისა, ვენეციის კომისიის შეფასებით, ნათლად არ ჩანს არსებული ნორმა მოქმედი ეთიკის კოდექსზე აკეთებს მითითებას, თუ მასში ივარაუდება ეთიკის ზოგადი, დაუწერელი წესებიც. CDL-AD(2014)032, § 28.

13 ვენეციის კომისიის თანახმად, დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზანს სასამართლოს ავტორიტეტის დაცვა წარმოადგენს და არა კანონის სწორად გამოყენების უზრუნველყოფა, CDL-AD(2007)009, § 29.

14 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, გვ. 52.

პასუხისმგებლობას, როდესაც მოსამართლის შეცდომას თან ერთვის მისი არაკეთილსინდისიერი ქმედება და მოსდევს მნიშვნელოვანი ზიანი (მეტი, ვიდრე სამართლებრივი შეცდომა – legal error plus). აღნიშნულ საკითხზე არსებული საერთაშორისო სტანდარტები მიუთითებს სამართლებრივი შეცდომისას მოსამართლის დაცვაზე დისციპლინური პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლე კეთილსინდისიერად მოქმედებს და არ მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სამართლებრივი შეცდომა ჩადენილია ბოროტი განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით.[15]

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უფრო მყარი გარანტიების უზრუნველსაყოფად და ერთგვაროვანი პრაქტიკის დასანერგად, მნიშვნელოვანია, ნათლად გაიწეროს კანონში, თუ რა დამატებითი გარემოებების შემთხვევაში შეიძლება დადგეს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი სამართლებრივი შეცდომის დაშვებისას. ამ მიმართულებით საინტერესოა მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების ამერიკული, კერძოდ, კალიფორნიის შტატის მოდელი, რომელიც მხარს უჭერს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას სამართლებრივი შეცდომის დაშვებისას სხვა დამატებითი გარემოებების არსებობის შემთხვევაში. კერძოდ, თუ ქმედება ჩადენილია არაკეთილსინდისიერებით, მიკერძოებით, ეწინააღმდეგება ნათლად ჩამოყალიბებულ სამართლის ნორმას, განხორციელებულია თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით და უგულებელყოფს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.[16]

მნიშვნელოვანია, დისციპლინური გადაცდომის სახეები ითვალისწინებდეს პასუხისმგებლობას მოსამართლის ქმედებისთვის, რომელიც ნათლად ჩამოყალიბებულ სამართლის ნორმას ეწინააღმდეგება და რომელთან დაკავშირებითაც არ არსებობს ბუნდოვანება, თუ აღნიშნული ქმედება მოსამართლემ ჩაიდინა ცხადი და დამაჯერებელი არაკეთილსინდისიერებითა და ადამიანის უფლებების უპატივცემულობით, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. აღნიშნულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, დისციპლინური პასუხისმგებლობა დადგეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეცდომის დაშვების დადასტურებისას (სადაც ასეთი არსებობს).[17]

15 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №2010(12), § 66; [ხელმისაწვდომია: https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805afb78, წვდომის თარიღი: 19.08.2019].
European Networks of Councils for the Judiciary (ENCJ), Minimum Judicial Standard V, disciplinary proceedings and liability of judges, გვ. 39-40. [ხელმისაწვდომია: https://www.encj.eu/images/stories/pdf/GA/Hague/encj_report_minimum_standards_v_adopted_ga_june_2015.pdf, წვდომის თარიღი: 19.08.2019].

16 Oberholzer v. Commission on Judicial Performance (1999), [ხელმისაწვდომია: https://law.justia.com/cases/california/supreme-court/4th/20/371.html წვდომის თარიღი: 19.08.2019]. legal error plus-ის შემთხვევაში, მოსამართლეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას მხარს უჭერდა კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის კვლევაში „სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები“, 2017. მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემა, გვ. 122.

17 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, გვ. 78-79.

ბ) დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა

„მეოთხე ტალღის“ ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტით იცვლება დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების წესი და გათვალისწინებულია გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ინსპექტორს თანამდებობიდან ათავისუფლებს საბჭო სრული შემადგენლობის უმრავლესობით, რაც ვერ უზრუნველყოფს საბჭოს არამოსამართლე წევრების რეალურ გავლენას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ასევე, ცხადად არ არის გაწერილი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და შესაძლებლობა[18].

შემუშავებული კანონპროექტით, გადაწყვეტილებას დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, საბჭო სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით იღებს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს საბჭოს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების წესს. მისასალმებელია ისიც, რომ კანონპროექტის მიხედვით, „მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება“ აღარ წარმოადგენს ინსპექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს.[19]

მოქმედი კანონმდებლობით, დამოუკიდებელ ინსპექტორს 5 წლის ვადით, კონკურსის საფუძველზე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. შემუშავებულ კანონპროექტში შენარჩუნებულია ამგვარი რეგულირება, რაც მნიშვნელოვანი ხარვეზია. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საბჭოს არამოსამართლე წევრების რეალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია დამოუკიდებელი ინსპექტორი არჩეულ იქნას საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3-ით.

ინსპექტორის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ცვლილებაა მისი თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა ორგანული კანონით. შემუშავებული კანონპროექტის თანახმად, თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის შრომის ანაზღაურების შესაბამისად, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. დღეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საბჭოს მიერ თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა ზრდის ამ ინსტიტუტის საბჭოზე დამოკიდებულების რისკს.[20]

18 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, გვ. 60-61.

19 აღნიშნული საფუძველი მეტისმეტად ბუნდოვნად და შესაბამისად, კრიტიკულად შეფასდა ვენეციის კომისიის 2018 წლის დასკვნაშიც. CDL-AD(2018)029, § 51. [ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2018)029-e, წვდომის თარიღი: 01.09.2019].

20 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, გვ. 62.

გ) მტკიცების სტანდარტი

მოქმედი კანონმდებლობით, მტკიცების სტანდარტი დისციპლინური სამართალწარმოების საწყის ეტაპებზე არ არის განსაზღვრული, რაც მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს.[21] შემუშავებული კანონპროექტი ამ ხარვეზის აღმოფხვრას ითვალისწინებს: კანონპროექტი ადგენს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის საფუძვლიანობის შემოწმებისას, ასევე, საბჭოს მიერ მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. გარდა ამისა, კანონპროექტის თანახმად, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საბჭო ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტს ეყრდნობა. ამგვარი ცვლილება დადებითად უნდა შეფასდეს.

დ) დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების ხელმისაწვდომობა

როგორც დღეს მოქმედი კანონმდებლობა, ისე „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტი, არ ითვალისწინებს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე გამოქვეყნებას. დასკვნები ხელმიუწვდომელია საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნის შემთხვევაშიც, რაც გამჭვირვალობის კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევად მიგვაჩნია. საბჭოს მიერ დღემდე გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებებში ვრცელი და ნათელია დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად მოკვლეული მასალები, თუმცა მხოლოდ მცირე ნაწილში ჩანს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნის შინაარსი მოსამართლის ქმედებაში დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არსებობა/არარსებობის შესახებ.[22] დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნების გამოქვეყნება მხარეთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვით, ორგანული კანონით განისაზღვროს.

ე) დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

მიუხედავად იმისა, რომ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ საბ-

21 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, გვ. 77.

22 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, გვ. 66-67.

ჭოს გადაწყვეტილებები საჯაროდ ხელმისაწვდომია, არც მოქმედი კანონმდებლობა და არც შემუშავებული კანონპროექტი არ ითვალისწინებს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნებას.

კანონპროექტი ითვალისწინებს მხოლოდ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნებას, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა საზოგადოებრივი ინტერესის საგანია მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება და საბჭოს არგუმენტაცია, შესაბამისად, სათანადო გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი იყოს ვებგვერდზე გამოქვეყნების გზით.

ვ) სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღება

„მეოთხე ტალღის“ ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტი არ ითვალისწინებს იმ მნიშვნელოვანი ხარვეზის აღმოფხვრას, რომელიც სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესს უკავშირდება. მოქმედი კანონმდებლობით, სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება მიღებულად მიიჩნევა, თუ მას მხარს დაუჭერს კოლეგიის დამსწრე წევრთა უმრავლესობა. კოლეგია შედგება 5 წევრისგან და ის უფლებამოსილია, თუ მას 3 წევრი ესწრება. სადისციპლინო კოლეგიის უფლებამოსილებიდან გამომდინარე, კრიტიკას იმსახურებს კანონის აღნიშნული წესი – საფრთხე ექმნება დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის სამართლიანობას, ვინაიდან თეორიულად შესაძლებელია, საერთო შემადგენლობის 5 წევრიდან ორმა მოსამართლე ბრალეულად ცნოს და დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი დააკისროს.[23]

დღეს სადისციპლინო კოლეგიას მხოლოდ სამი მოსამართლე წევრი ჰყავს, ხოლო არამოსამართლე წევრები, რომლებიც პარლამენტმა უნდა აირჩიოს, კოლეგიაში არ ირიცხებიან.[24] აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ საფრთხეზე, რომელიც 2 წევრის მიერ მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას უკავშირდება.

საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტი ცალკეული საკვანძო საკითხების არსებითად გაუმჯობესებულ რეგულირებას ითვალისწინებს, დისციპლინური სამართალწარმოების კუთხით კვლავ რჩება გამოწვევები, რაც დროულ და ეფექტიან გადაწყვეტას მოითხოვს.

23 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, გვ. 78.

24 კოლეგიის წევრებზე ინფორმაცია [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ktMU2q, წვდომის თარიღი: 01.09.2019].

II. სტატისტიკური მონაცემები

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად,[25] 2019 წლის 1-ლი სექტემბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში შევიდა 151 დისციპლინური საჩივარი. მათ შორის:



ხსენებულ პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინურ საქმეთა განხილვის მიზნით სულ ორი სხდომა გამართა.[26] დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება საბჭომ 49 შემთხვევაში მიიღო. მათ შორის 6 საქმეზე მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლის/შეწყვეტის გამო, 4 საქმეზე 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, 1 საქმეზე კი, იმ საფუძვლით, რომ არსებობდა იმავე საფუძვლით, იმავე მოსამართლის მიმართ საბჭოს გადაწყვეტილება.[27] გადაწყვეტილებებით დგინდება, რომ არცერთი საჩივარი 2019 წლით არ თარიღდება. საბჭოს მიერ დისციპლინურ საქმეთა შეწყვეტის სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

25 დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 30 სექტემბრის წერილი №202/309-03-ი.

26 2019 წლის 11 და 13 მარტს.

27 დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 30 სექტემბრის წერილი №203/3370-03-ო.



უნდა აღინიშნოს, რომ წინა პერიოდის მსგავსად, მონიტორინგის ამ პერიოდშიც, ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეხედულებები, გარდა 3 საქმისა, დიდწილად ერთმანეთს ემთხვევა. კერძოდ, 2 საქმეზე საბჭომ არ გაიზიარა დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა, მოსამართლის ქმედებაში დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობის შესახებ (ორივე საქმე საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას ეხებოდა), ხოლო ერთ საქმეზე არ დაეთანხმა ინსპექტორს დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არსებობის შესახებ (საქმე ეხებოდა ეთიკის ნორმების დარღვევას).[28] უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან არც დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნები და არც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე ხელმისაწვდომი არ არის, ხსენებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის კუთხით შეფასება რთულია.

2019 წლის პირველი იანვრიდან 1-ლ სექტემბრამდე პერიოდში, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საბჭოსთვის წარდგენილი 5 დასკვნა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ, საბჭომ გაიზიარა. საქმეები ეხებოდა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების სამ, ეთიკის წესების დარღვევის ერთ და მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ერთ ფაქტს.

საბჭომ დისციპლინური დევნის დაწყებაზე გადაწყვეტილება მიიღო 6 საქმეზე, მათგან საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების სამ, მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ერთ და ეთიკის ნორმების დარღვევის ორ ფაქტზე.

28 დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 30 სექტემბრის წერილი №202/309-03-ი.

ხსენებულ პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის თაობაზე 16 საქმე განიხილა. მათგან რვა საქმე საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას, შვიდი მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვან შესრულებას, ერთი კი, ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტებს ეხებოდა. ხსენებული 16 საქმიდან 15-ზე არსებობდა დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა მოსამართლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის თაობაზე. განხილული 16 საქმიდან საბჭომ 4 საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. აღნიშნული საქმეები ეხებოდა საქმის უსაფუძვლო გაჭიანურების ერთ, მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ორ და ეთიკის ნორმების დარღვევის ერთ ფაქტს. დანარჩენ 14 საქმეზე კი, მათ შორის ოთხ საქმეზე, მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო,[29] შეწყდა დისციპლინური წარმოება.

2018 წლის მსგავსად, 2019 წელს არცერთ მოსამართლეს არ უსარგებლია დისციპლინური სხდომის გასაჯაროების უფლებით და 2018 წლის მსგავსად, 2019 წელს, საბჭოს არცერთ წევრს არ წარმოუდგენია წერილობით განსხვავებული აზრი.[30] აგრეთვე, 2019 წელს არცერთხელ არ დამდგარა დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების შემთხვევა.[31]

მოსამართლის პასუხისგებაში მიცემაზე განხილული საქმეები 2019



29 დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 30 სექტემბრის წერილი №202/309-03-ი.

30 დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 30 სექტემბრის წერილი №203/3370-03-ო.

31 იქვე.

III. დამოუკიდებელი ინსპექტორის განზოგადებული დასკვნები

როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლო სისტემის რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტი შეიცავს დისციპლინური გადაცდომის სახეების შედარებით დახვეწილ და ამომწურავ ჩამონათვალს, რაც მისასალმებელია, ვინაიდან დღეს მოქმედი დისციპლინური გადაცდომის სახეები კვლავ ძალზე ზოგადია და ვერ აკმაყოფილებს განჭვრეტადობისა და სიცხადის კრიტერიუმებს.[32] გადაცდომის სახეების ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, როგორც მოსამართლის, ისე იმ დაინტერესებული პირისთვის, რომელიც მოსამართლის მიმართ დისციპლინური საჩივრის შეტანას აპირებს, მნიშვნელოვანია, თუ როგორ განმარტავენ დისციპლინურ სამართალწარმოებაში ჩართული ორგანოები დისციპლინური გადაცდომის სახეებს.

დისციპლინური გადაცდომის სახეების განმარტებას ვხვდებით დამოუკიდებელი ინსპექტორის განზოგადებულ დასკვნებში,[33] რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინური საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების შინაარსი, დიდწილად იზიარებს დამოუკიდებელი ინსპექტორის მსჯელობას სხვადასხვა ასპექტის შეფასებისას.

საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას, ინსპექტორი ყურადღებას ამახვილებს (ა) საქმის სირთულეზე, (ბ) მხარეთა მოქმედებებსა და (გ) საქმის განმხილველი მოსამართლის ქმედებებზე. ყურადღება ეთმობა აგრეთვე მოსამართლის დატვირთულობას და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას.[34]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსამართლის დატვირთულობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება წლის განმავლობაში კონკრეტულ მოსამართლეზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობა და საქმეთა დასრულების მაჩვენებელი, იმ საქმეთა სირთულე და ე.წ. „საქმის წონა“ კი, რომლითაც სტატისტიკური მაჩვენებელი დგინდება, უგულებელყოფილია.

ინსპექტორი სისხლის სამართლის საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შეფასებისას ყურადღებას ამახვილებს საქმის განხილვის საპროცესო ვადასა და ევროპული კონვენციით დაცული საქმის განხილვის გონივრული ვადის სტანდარტზე.[35] საქმის გან-

32 „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მონიტორინგის ანგარიში 2019 – „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება, საქმეთა ელექტრონული განაწილება, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა“, გვ. 11.

33 დამოუკიდებელი ინსპექტორის განზოგადებული დასკვნები ხელმისაწვდომია დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის პირველ წლიურ ანგარიშში, 2017-2018, გვ. 24-37.

34 იქვე, გვ. 26.

35 იქვე, გვ. 28.

ხილვის გონივრული სტანდარტის კუთხით, ინსპექტორმა გადაცდომად მიიჩნია მოსამართლის ქმედება, რომელიც ერთ-ერთ არასაპატიმრო საქმეზე, დაცვის მხარის ინიციატივით, სისტემატურად დებდა პროცესებს, მიუხედავად იმისა, რომ საქმის გადადების გამომწვევი მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტები არ არსებობდა. საქმის ხშირმა გადადებამ საქმის განხილვის ვადის 2 წელზე მეტი ხნით გაზრდა გამოიწვია. მოსამართლეს კი არ მიუღია რაიმე ზომა, რომელიც უზრუნველყოფდა მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელებას.[36]

დამოუკიდებელი ინსპექტორის შეფასებით, საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების ფაქტად მიიჩნევა საქმის განხილვის საპროცესო ვადის დარღვევა, თუმცა ვადის დარღვევის უსაფუძვლობის შესაფასებლად გაითვალისწინება საქმის სირთულე, განხორციელებული საპროცესო მოქმედებები, კონკრეტული მოსამართლის წარმოებაში საქმის არსებობის ვადა და მოსამართლის დატვირთულობა.[37]

მოსამართლის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება
დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ შეფასებულია, როგორც იმპერატიული და ფუნდამენტური ნორმების არსებითი დარღვევა, რომელიც სცდება სამართლებრივი შეცდომის ფარგლებს, რაც ზიანს აყენებს მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესებს. გადაცდომის თითოეული ფაქტი დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ ფასდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების გათვალისწინებით.[38]

მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების კუთხით, ინსპექტორი მსჯელობს სამართლებრივ შეცდომასა და დისციპლინურ გადაცდომას შორის სხვაობაზე სადისციპლინო პალატის პრაქტიკის თანახმად, რომელიც მოსამართლის შინაგანი რწმენის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებისთვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას გამორიცხავს, თუმცა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების შეფასებისას, მხედველობაში მიიღება, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და რამდენად ირღვევა შესაბამისი კანონის იმპერატიული მოთხოვნები.[39]

მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების ფაქტები უმეტესწილად დასაბუთებული გადაწყვეტილების ან/და განჩინების მხარეთათვის დაგვიანებით გაგზავნას ეხება.[40] ინსპექტორი ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქ-

36 იქვე, გვ. 29.
37 იქვე, გვ. 30.
38 იქვე, გვ. 33.
39 იქვე, გვ. 31.
40 იქვე, გვ. 31.

ტიკას, რომელიც მიუთითებს ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებაზე, აღასრულონ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები, რაც პირდაპირ კავშირშია მხარეთა ეფექტიან დაცვასა და კანონიერების აღდგენასთან. ამ მიზეზით, როდესაც საჩივრის ავტორი საჩივარში გადაწყვეტილების ან/და განჩინების დაგვიანებით გაგზავნის ფაქტზე მიუთითებს, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური დისციპლინურ სამართალწარმოებას იწყებს მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის და არა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების საფუძვლით.[41] ამავე პრაქტიკას ვხვდებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებშიც.

დამოუკიდებელ ინსპექტორს, მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას, დღის წესრიგში ზიანის ტესტი შემოაქვს. ზიანი იმის მიხედვით ფასდება, სახეზეა თუ არა მხარის უფლებების/საჯარო ინტერესების საწინააღმდეგო უარყოფითი შედეგი.[42] მაგალითისთვის, დასაბუთებული გადაწყვეტილების დაგვიანებით ჩაბარებისას დამოუკიდებელი ინსპექტორი აფასებს, ერთმევა თუ არა მხარეს გასაჩივრების უფლება, ანუ სახეზეა თუ არა მხარის უფლებების ან/და საჯარო ინტერესებისთვის მიყენებული ზიანი.

სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევისას ინსპექტორი არაკორექტულ ქცევას სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების ჭრილში აფასებს. კერძოდ, ფასდება, გარეშე დამკვირვებლის აზრით, ხომ არ ვნებს ასეთი ქცევა მოსამართლის უნარს, პატიოსნად, მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და კვალიფიციურად შეასრულოს თავისი მოვალეობები. აგრეთვე, როგორია მოსამართლის ტონი და მანერა, რამდენად საფუძვლიანია მოსამართლის შენიშვნები, ხომ არ არის მისი ქცევა ტენდენციური და სხვ. აღნიშნულის დასადგენად, დამოუკიდებელი ინსპექტორი შეისწავლის როგორც აუდიო, ისე ვიდეო ოქმებს. ინსპექტორმა დისციპლინურ გადაცდომად შეაფასა თარჯიმნისთვის ხმამაღალი ტონით მიმართვა, ადვოკატისთვის დამამცირებელი ტონით მიმართვა, აპელანტის წარმომადგენლისთვის ირონიით მიმართვა, მოსარჩელის წარმომადგენლისთვის ანგარიშის მოთხოვნა, თუ რატომ მიუთითა მან განცხადებაში ესა თუ ის მოთხოვნა და ა.შ.[43]

დამოუკიდებელი ინსპექტორის განზოგადებული დასკვნების გამოქვეყნება დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის გამჭვირვალობის კუთხით, მნიშვნელოვანი ნაბიჯია, თუმცა ცალკეული საქმეების ანალიზისა და დასკვნების შეფასების შეუძლებლობა, ინსპექტორის ანგარიშვალდებულების კუთხით კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

გარდა ხსენებული დისციპლინური გადაცდომის სახეებისა, დამოუკიდებელი ინსპექ-

41 იქვე, გვ. 32.
42 იქვე, გვ. 33.
43 იქვე, გვ. 34-35.

ტორი განზოგადებულ დასკვნებში აქტის კანონიერების საფუძვლით შესულ საჩივრებზე მიღებულ გადაწყვეტილებებსაც ეხება. დისციპლინური საჩივრების უმეტესობას (51%) აქტის კანონიერების საფუძვლით შესული დისციპლინური საჩივრები წარმოადგენს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების სისტემა არ ითვალისწინებს დისციპლინური სამართალწარმოების მიზანს, რაც თეორიულად პარალელური მართლმსაჯულების განხორციელების საფრთხეს ქმნის, პრაქტიკაში კი დისციპლინური საჩივრების რიცხვის ზრდას იწვევს. მსგავსი საჩივრების უმეტესობა ხასიათდება განმცხადებლის შეფასებით, რომ მოსამართლემ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება. ვინაიდან დისციპლინური სამართალწარმოება არ გულისხმობს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების დასაბუთებისა თუ შინაარსობრივი მხარის შემოწმებას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეამოწმოს საჩივრები, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიერებას შეეხება.[44]

IV. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები

სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის" ფარგლებში განხორციელებული ცვლილებებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება და საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნება დაევალა.[45] საბჭოს წევრს აგრეთვე მიეცა უფლება წერილობით დააფიქსიროს განსხვავებული აზრი.[46] ეს, დისციპლინური სამართალწარმოების გამჭვირვალობის კუთხით, მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია. ხსენებულ ცვლილებამდე დისციპლინური სამართალწარმოება კონფიდენციალური იყო, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დისციპლინური გადაწყვეტილების შეწყვეტის შესახებ სავალდებულო დასაბუთებას არ ექვემდებარებოდა, ვებგვერდზე არ ქვეყნდებოდა და საჩივრის ავტორსაც მოთხოვნის შემთხვევაში ეგზავნებოდა.[47]

ცვლილების ამოქმედების შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკუთარ ვებგვერდზე აქვეყნებს გადაწყვეტილებებს.[48] თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინურ საკითხებზე

44 იქვე, გვ. 36.
უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის" ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტით გათვალისწინებულია დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილება, შეწყვიტოს დისციპლინური სამართალწარმოება, თუ საჩივარი მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას შეეხება. საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", პირველი მუხლის მე-19 პუნქტი.

45 „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^{12}-ე მუხლი.

46 იქვე, მუხლი 75^{8}-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 75^{13}-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

47 „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 2017 წლის 8 თებერვლამდე არსებული რეადაქცია.

48 ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/ge/2018-tslis-dashtrikhuli-gadatskvetilebebi/2019-tslis-dashtrikhuli-gadatskvetilebebi, წვდომის თარიღი: 01/09/2019.

საბჭოს სხდომები იშვიათად ტარდება,[49] რაც იწვევს დისციპლინურ საქმეთა განხილვის გაჭიანურებას და კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევას.[50] რაც შეეხება საბჭოს წევრთა განსხვავებულ აზრს, დღემდე საბჭოს არცერთ წევრს არ დაუფიქსირებია განსხვავებული აზრი საბჭოს გადაწყვეტილებებთან მიმართებით.[51]

დისციპლინური სამართალწარმოების ვადების დარღვევის ნათელ სურათს გვაძლევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული გადაწყვეტილებები, რომელთა თანახმადაც, ვადები ირღვევა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმე თავისი შინაარსით სიმარტივით ხასიათდება. მაგალითისთვის, 2019 წელს მოსამართლის სამოსამართლო უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 12 დისციპლინური საქმე შეწყვიტა[52]. მათგან 7 საქმე წინასწარი შემოწმების ეტაპზე, კენჭისყრის გარეშე შეწყდა[53] და წინასწარი შემოწმების ეტაპი 6 თვიდან ერთ წლამდე გაგრძელდა.

5 საქმეზე მოსამართლის მიმართ დაწყებული იყო დისციპლინური დევნა. ხსენებული საქმეებიდან 4 საქმეს საფუძვლად დისციპლინური საჩივარი ედო[54] და წარმოებაში ერთ წელზე მეტხანს იმყოფებოდა, ხოლო ერთ საქმეზე დამოუკიდებელმა ინსპექტორმა წინასწარი შემოწმება და გამოკვლევა დაიწყო მედიაში გაჟღერებულ ფაქტებზე.[55] 7 საქმეზე საჩივარში ხსენებული ფაქტები ხანდაზმულობის გამო შეწყდა ერთხმად.[56] მათგან ერთი საქმე ერთ წლამდე,[57] ერთი საქმე – 5 თვემდე,[58] 3 საქმე – 4 თვემდე,[59] და 2 საქმე 2 თვემდე[60] მიმდინარეობდა წინასწარი შემოწმების ეტაპზე.

49 გადაწყვეტილებების მიხედვით, 2019 წელს დისციპლინურ საკითხებზე ჩატარდა საბჭოს 2 სხდომა, 11 და 13 მარტს. [წვდომის თარიღი: 2019 წლის 19 აგვისტო].

50 სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში, განისაზღვრა დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა (2 თვე, რომელიც შესაძლოა 2 კვირით გაგრძელდეს) და გამოკვლევის (2 თვე, რომელიც აგრეთვე შესაძლოა 2 კვირით გაგრძელდეს) ვადები. აღნიშნულ ვადებში საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, დისციპლინური სამართალწარმოება წყდება. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{7}-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 75^{10}-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

51 დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 30 სექტემბრის წერილი №202/309-03-ი.

52 საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ შეწყდება დისციპლინური სამართალწარმოება, თუ მოსამართლეს შეუწყდება სამოსამართლო უფლებამოსილება. უნდა აღინიშნოს, რომ ვებგვერდზე არსებული ინფორმაცია განსხვავდება ინსპექტორის მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციისგან.

53 დისციპლინური საქმეები №67-18-1; №81-18-1; №111-18; №123-18; №194-18; №200-18 და №231-18.

54 დისციპლინური საქმეები №41-18; №46-18; №142-17 და №224-17.

55 დისციპლინური საქმე №86-18-1.

56 დისციპლინური საქმე №74-18-4, №286-18-1, №286-18-2, №286-18-3, №82/303-1/18, №263/18 და №82/303-2-18.

57 დისციპლინური საქმე №74-18-4.

58 დისციპლინური საქმე №82/303-1/18.

59 დისციპლინური საქმეები №286-18-1, №286-18-2 და №286-18-3.

60 დისციპლინური საქმეები №286-18-1, №286-18-2 და №286-18-3.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ერთი და იმავე მოსამართლის მიმართ იმავე საფუძვლით დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების განმეორებით დაწყების გამო[61] კენჭისყრის გარეშე შეწყვიტა ერთი საქმე.[62] საქმის წინასწარ შემოწმებასა და გამოკვლევას 8 თვე დასჭირდა.

1. საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება

იმისათვის, რათა დადგინდეს, მოსამართლის ქმედება (რომელიც თავის თავში უმოქმედობასაც მოიცავს) შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, საბჭო ცდილობს განსაზღვროს, თუ რას წარმოადგენს საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, თუ როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო". კანონმდებლობაში აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი შესაბამისი განმარტებების არარსებობის გამო, საბჭო, ინსპექტორის მსგავსად, საკუთარ შეფასებაში ეყრდნობა სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებებს, რომელიც, თავის მხრივ, საქმის განხილვის გაჭიანურებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით ხსნის და მიუთითებს მის მიდგომაზე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში **გონივრული ვადა** შეფასდეს თითოეულ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებითა და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღებით.[63]

ინსპექტორის მსგავსად, საბჭო გადაწყვეტილებებში ყურადღებას ამახვილებს საქმის სირთულეზე, მხარეთა მოქმედებებზე და საქმის განმხილველი მოსამართლის ქმედებებზე. გარდა ამისა, იმისათვის, რათა დადგინდეს, მიუძღვის თუ არა მოსამართლეს აღნიშნულ ქმედებაში (უმოქმედობაში) ბრალი, საბჭო აგრეთვე მსჯელობს შემდეგ საკითხებზე:

- სამუშაო დატვირთვაზე, რაშიც იგულისხმება მთლიანი სამუშაო, რასაც სასამართლო ან მოსამართლეები ახორციელებენ. ეს არის სასამართლოსა და მოსამართლეების მიერ განხორციელებული ყველა საქმიანობის ერთობლიობა;

- განსახილველად დაგროვებული საქმეების რაოდენობაზე – ანუ საქმეების რაოდენობა, რომლებიც სასამართლომ ან მოსამართლემ უნდა განიხილოს;

- განსახილველ საქმეებზე – რაც შეადგენს საქმეების რაოდენობას, რომლებიც მოსამართლემ გარკვეული პერიოდის განმავლობაში უნდა განიხილოს;

61 „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^7 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ერთი და იმავე მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განმეორებით დაწყება იმავე საფუძვლით, რომლითაც უკვე განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება.

62 დისციპლინური საქმე №207/18.

63 მაგალითისთვის, 1 თვიანი ვადის 24 დღით დარღვევის შემთხვევაში, საბჭომ დარღვევა უმნიშვნელო ხასიათს მიაკუთვნა. დისციპლინური საქმე №81/18-2.

- ვადებზე – დროის გარკვეული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული საქმეების გარკვეულ რაოდენობასთან ან პროცენტთან დაკავშირებით, საქმეების ხანდაზმულობის გათვალისწინებით;

- განუხილველ საქმეებზე – ეს არის დაგროვილი საქმეების რაოდენობა ან პროცენტი, რომლებიც დადგენილ ვადაში არ იქნა განხილული.[64] საბჭო აგრეთვე მსჯელობს, რამდენად უწყობს ხელს მოსამართლის ქმედებები საქმის განხილვის გაჭიანურებას საქმის განხილვის საერთო ვადასთან მიმართებით.[65]

დამატებითი გარემოებების შეფასებაზე დაყრდნობით, საბჭოს მიერ, ერთი წლითა და თერთმეტი თვით საქმის წარმოება დისციპლინურ სამართალდარღვევად არ ჩაითვალა.[66] მსგავსი მიდგომა ჰქონდა საბჭოს ერთი წლისა და სამი თვის,[67] აგრეთვე, 2 წლისა და 3 თვის განმავლობაში საქმის განხილვის შემთხვევებში.[68]

2019 წლის 1-ლი სექტემბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში შევიდა 36 საჩივარი საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების ფაქტებზე.[69] 1-ლი სექტემბრის მდგომარეობით[70], საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინური სამართალწარმოება 12 საქმეზე შეწყვიტა.[71] მათგან 11 საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, ხოლო 1 საქმეზე დისციპლინური საქმე 13- დან 12 ხმით შეწყდა.[72] ყველა ხსენებულ საქმეში დაირღვა დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევისთვის დადგენილი ვადები. სამართალწარმოება 11 თვიდან 14 თვემდე პერიოდში მიმდინარეობდა.

2. მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება

მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების საფუძვლით დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში შესული საჩივრების შეფასებისას, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, მსგავსად ინსპექტორისა, სადისციპლინო პალატის გადაწ-

64 მაგალითისთვის იხ: დისციპლინური საქმეები: №116/17, №99/17 და ა.შ.

65 2019 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №110/18.

66 დისციპლინური საქმე №22-18.

67 დისციპლინური საქმე №72/18.

68 დისციპლინური საქმე №110/18.

69 დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 30 სექტემბრის წერილი №202/309-03-ი.

70 იგულისხმება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული გადაწყვეტილებები. დისციპლინური საჩივრები 2017 და 2018 წლებით თარიღდება.

71 აღნიშნული საქმეებია: №22-18(11.03.19); №72-18(11.03.19); №79-18(11.03.19); №81-18-2(11.03.19); №93-18-1(13.03.19); №95-18(13.03.19); №99-17(11.03.19); №106-18(13.03.19); №110-18(13.03.19); №116-17(11.03.19); №116-18(13.03.19) და №207-17(11.03.19).

72 დისციპლინური საქმე №95/18.

ყვეტილებაზე დაყრდნობით,[73] მსჯელობს სხვაობაზე მოსამართლის სამართლებრივ შეცდომასა და დისციპლინურ გადაცდომას შორის.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მოსამართლე, ნორმის არასწორი განმარტებისას, დაცულია დისციპლინური პასუხისმგებლობისგან. კერძოდ, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც მოსამართლის შინაგანი რწმენა უდევს საფუძვლად, დისციპლინურ გადაცდომად არ მიიჩნევა.[74] აღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭო განმარტავს, რომ საკმაოდ რთულია იმის დადგენა, თუ სად გადის ზღვარი, ერთი მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომასა და, მეორე მხრივ, დისციპლინურ გადაცდომას შორის. ამიტომ, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი – სამართლებრივ შეცდომად.[75] ამასთან, შესაძლო გადაცდომის ფაქტებზე მსჯელობისას საბჭო უთითებს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლს, რომლის თანახმადაც, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები შეასრულოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.[76] აგრეთვე ამახვილებს ყურადღებას, არის თუ არა საუბარი სამოსამართლო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან დაუდევრობაზე, ან უგულისყურო შესრულებაზე, სისტემატურად და არასაპატიო მიზეზით.[77]

საბჭო მოსამართლისთვის მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვან შესრულებას, დისციპლინურ გადაცდომად აკვალიფიცირებს იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე, ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა მოჰყვა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს. ხოლო თუკი მოსამართლე მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებულ ფარგლებში მოქმედებს, საბჭო წყვეტს დისციპლინურ სამართალწარმოებას.[78] ამდენად, საბჭოს განმარტებით, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად, თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.[79] ასეთი შესაძლოა იყოს მოსამართლის მიერ მართ-

73 სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება №დს-შ/9-16.

74 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი 75[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

75 მაგალითისთვის იხ. დისციპლინური საქმე №89-18-1.

76 მაგალითისთვის იხ. დისციპლინური საქმე №90/18-1.

77 დისციპლინური საქმე №101-18.

78 აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას საბჭო ეყრდნობა სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებას, რომელიც საკითხის გადაწყვეტისას კანონიერების (კანონის უზენაესობის) პრინციპსა და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესზე მსჯელობს. პალატის განმარტებით, „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“ – სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება №დს-შ/9-16.

79 მაგალითისთვის იხ. დისციპლინური საქმე №89/18-1.

ლმსაჯულების ან სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელი ფუნდამენტური ნორმების, მათ შორის, პროცესის მონაწილეთა ფუნდამენტური უფლებების ან სამართლიანი პროცესის გარანტიების დარღვევა.[80]

ამასთან, ქმედების არაჯეროვან შესრულებად დაკვალიფიცირებისას საბჭო მხედველობაში იღებს გამოწვეული ზიანის ხარისხს, დარღვევის სისტემატურობას, მოსამართლის შეცდომის გამოსწორებად ხასიათს, მოსამართლის მოტივებს. ამდენად, სამოსამართლო მოვალეობების შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას საბჭო განმარტავს, როგორც მოსამართლის მიერ მართლმსაჯულების ან სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელი ფუნდამენტური ნორმების, მათ შორის პროცესის მონაწილეთა ფუნდამენტური უფლებების ან სამართლიანი პროცესის გარანტიების დარღვევას.[81]

აღსანიშნავია, რომ მსგავსად ინსპექტორისა, გადაწყვეტილების ან განჩინების დაგვიანებით გაგზავნას, საბჭო მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობად ან არაჯეროვან შესრულებად აკვალიფიცირებს.[82] სასამართლოს გადაწყვეტილების მხარისათვის 6 თვის ვადის დაგვიანებით გაგზავნისას, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლის წინააღმდეგ დაიწყო დევნა, თუმცა მოგვიანებით, მოსამართლის ახსნა-განმარტების მიღების შემდეგ დისციპლინური საქმე შეწყვიტა.[83] საბჭოს განმარტებით, დადასტურებულ საპროცესო წესის დარღვევის ფაქტთან მიმართებით, დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია, გამოირკვეს და შეფასდეს დამატებითი გარემოებებიც.[84] კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს, აგრეთვე მნიშვნელოვანია, დარღვეულ საპროცესო ვადასთან მიმართებაში გათვალისწინებული იყოს განჩინების მხარისათვის ჩაუბარებლობის ხანგრძლივობა და მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლე და დატვირთულობა.[85]

ხსენებულ საქმეზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, მოსამართლის ახსნა-განმარტების და მისი დატვირთულობის გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ, მართალია, მოსამართლის მხრიდან დასტურდება საპროცესო წესის დარღვევის შემთხვევა, მაგრამ რადგანაც ეს მოსამართლის სტატისტიკური მონაცემებითა და დატვირთულობით არის განპირობებული, ასევე, ვინაიდან ადგილი არ ჰქონია მხარისათვის ზიანის მიყენების ფაქტს და არ დარღვეულა მისი ფუნდამენტური საპროცესო უფლება (გასაჩივრების უფლება), მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.[86]

80 დისციპლინური საქმე №103/17.

81 იქვე.

82 დისციპლინური საქმე №90/18-1 და №103/17 აგრეთვე საქმე №121/18.

83 დისციპლინური საქმე №103/17.

84 დისციპლინური საქმე №103/17.

85 დისციპლინური საქმე №121/18.

86 იქვე.

2019 წლის 1-ლი სექტემბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში შევიდა 61 საჩივარი მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ფაქტებზე.[87] 1-ლი სექტემბრის მდგომარეობით[88], საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყვიტა 11 საქმეზე.[89] მათგან 8 საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, 1 საქმეზე დისციპლინური საქმე 14-დან 10 ხმით შეწყდა;[90] 1 საქმეზე – 14-დან 13 ხმით,[91] ხოლო 1 საქმეზე – 13-დან 12 ხმით.[92] ყველა ხსენებულ საქმეში დაირღვა დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევისთვის დადგენილი ვადები. სამართალწარმოება მიმდინარეობდა არანაკლებ 11 თვისა.

3. სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა

სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა, როგორც დისციპლინური გადაცდომის სახე, მისი ფორმულირებიდან გამომდინარე, ზოგად სადამსჯელო მექანიზმად გამოყენების რისკებს შეიცავს. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა ეთიკის ნორმების დარღვევისთვის, ვენეციის კომისიის მხრიდან ჯერ კიდევ 2007 წელს შეფასდა კრიტიკულად და აღინიშნა, რომ გაცილებით უფრო ზუსტი დებულებები უნდა გაიწეროს, როდესაც საქმე დისციპლინურ პასუხისმგებლობას ეხება.[93]

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების მიხედვით, ეთიკის წესების დარღვევისას, საბჭო მხედველობაში იღებს სასამართლო ეთიკის წესებს, ბანგალორის პრინციპებს, მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნებს[94] და მიუთითებს, რომ „მოსამართლე უნდა იცავდეს ეთიკის ნორმებს, ეთიკური ნორმების დაცვა და ეთიკური ნორმების დაცვის დემონსტრირება როგორც პროფესიული, ისე პირადი ასპექტით, მოსამართლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტებია. მთავარია არა ის, თუ რას აკეთებს ან არ აკეთებს მოსამართლე, არამედ ის, თუ რა გააკეთა, ან რისი გაკეთება შეუძლია მოსამართლეს გარშემომყოფთა აზრით. ფაქტია, რომ საზოგადოება მოსამართლისაგან ქცევის მაღალ სტანდარტებს მოელის. არაკორექტული ქცევის გამოსავლენი კრიტე-

87 დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 30 სექტემბრის წერილი №202/309-03-ი.

88 იგულისხმება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული გადაწყვეტილებები.

89 აღნიშნული საქმეებია №89-18-1(11.03.19), №90-18-1(11.03.19), №90-18-2(11.03.19), №90-18-3(11.03.19), №91-18(11.03.19), №101-18(13.03.19), №103-17(11.03.19, №105-18(13.03.19), №109-18(13.03.19), №121-18(13.03.19) და №131-17(11.03.19).

90 დისციპლინური საქმე №89/18-1.

91 დისციპლინური საქმე №103/17.

92 დისციპლინური საქმე №131/17.

93 „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მონიტორინგის ანგარიში 2019 – სასამართლო რეფორმის შეფასება, საქმეთა ელექტრონული განაწილება, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა, გვ. 54.

94 დისციპლინური საქმე №96/18.

რიუმია იმის განსაზღვრა, ხომ არ ვნებს ასეთი ქცევა მოსამართლის უნარს, პატიოსნად, მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და კვალიფიციურად შეასრულოს მოსამართლის მოვალეობები, თუ, გარეშე დამკვირვებლის აზრით, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეს არ შეუძლია ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები".[95]

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებიდან დგინდება, რომ დისციპლინური გადაცდომის საფუძველი – სამოსამართლო ეთიკის დარღვევად პრაქტიკაში მიიჩნევა, თუ ზოგადად მოსამართლის ქმედება რამდენად ეთიკურია და ამაში კონკრეტულად სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევა არ იგულისხმება. აღნიშნული ნორმის ფართო ინტერპრეტაცია მოსამართლისთვის ბუნდოვანებას იწვევს, ვინაიდან მისთვის გაურკვეველია, რა შეიძლება ჩაითვალოს მისი მხრიდან დისციპლინურ გადაცდომად და რა – სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვად.

მაგალითისთვის, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ეთიკის წესების დარღვევად არ მიიჩნია მოსამართლის მხრიდან დამსწრე პირისთვის მიმართვა – „გარეთ შეგიძლიათ მიბრძანდეთ და იქ იცინოთ, რამდენიც გინდათ",[96] თუმცა მოსამართლის მხრიდან დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვალა მხარის წარმომადგენლისთვის მიმართვა -„გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, არ დაგამადლითო".[97]

2019 წლის 1-ლი სექტემბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში ეთიკის ნორმების დარღვევაზე[98] 25 საჩივარი შევიდა. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 1-ლი სექტემბრის მდგომარეობით, დისციპლინური სამართალწარმოება 3 საქმეზე შეწყვიტა.[99] დისციპლინურ საქმეზე, გადაწყვეტილება ყველა საქმეზე საჩივრის წარდგენიდან ერთი წლის შემდეგ დადგა. მოსამართლის მიმართ დევნა არცერთ საქმეზე არ დაწყებულა. ყველა საქმეზე დისციპლინური საქმის შეწყვეტაზე გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. უკანონო გადაწყვეტილების გასაჩივრება დისციპლინური წესით

საქართველოს კანონმდებლობა დისციპლინური სამართალწარმოების მიზანს არ განსაზღვრავს, რაც თეორიულად პარალელური მართლმსაჯულების განხორციელების საფრთხეს ქმნის.[100] ეს იწვევს დისციპლინური საჩივრებისა და განცხადებების რაოდე-

95 დისციპლინური საქმე №96/18.

96 დისციპლინური საქმე №96/18.

97 სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება სადისციპლინო საქმეზე №4/01-2018.

98 დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 30 სექტემბრის წერილი №202/309-03-ი.

99 დისციპლინური საქმე №96/18, 112/18 და №91-18.

100 კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები, 2017. მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემა, გვ. 123.

ნობის ზრდას, რომლებიც სადაოდ ხდიან მოსამართლეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას. 2019 წლის 1-ლი იანვრიდან, ამავე წლის 1-ლ სექტემბრამდე, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში მოსამართლის მიერ მიღებული/გამოცემული აქტის კანონიერების საფუძვლით 77 საჩივარი შევიდა.[101] 2019 წლის 1-ლი სექტემბრის მდგომარეობით კი, 17 საქმეზე ერთხმად შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.[102]

დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.[103] აქტის კანონიერების საფუძვლით შესულ საჩივრებზე საბჭო მსჯელობს შესაბამისი გადაწყვეტილების/განჩინების მიღებისას, მოქმედებდა თუ არა მოსამართლე მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რადგან იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერებაზე. შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა.[104]

მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი საქმეები თავისი ხასიათით სიმარტივით გამოირჩევა, მათი წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის ვადები ერთ წლამდე გრძელდება.

V. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებები

სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის“ ცვლილებების ძალაში შესვლიდან დღემდე სადისციპლინო კოლეგიამ 4 საქმე განიხილა – 1 საქმე 2018 წელს, ხოლო 3 საქმე 2019 წელს.[105] განხილულ საქმეთაგან მხოლოდ ერთი ეხებოდა მოსამართლის ეთიკის ნორმების დარღვევას, სხვა საქმეები – საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების ფაქტებს. საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების ფაქტებიდან ერთ შემთხვევაში მოსამართლე გაამართლა საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიამ,[106] ხოლო ორ შემთხვევაში ბრალეულად ცნო დისციპლინური გადაცდომისთვის და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება – კერძო

101 დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 30 სექტემბრის წერილი №202/309-03-ი.

102 იგულისხმება საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული დისციპლინური საქმეები №62-1-18(11.03.19), №62-2-18(11.03.19), №67-18-2(11.03.19), №72-18(11.03.19), №74-18-1(11.03.19), №74-18-2(11.03.19), №85-18(11.03.19), №90-18-1(11.03.19), №90-18-2(11.03.19), №91-18(11.03.19), №93-18-2(13.03.18), №93-18-3(13.03.18), №94-18(13.03.19), №97-18(13.03.19), №107-18(13.03.19), №112-18(13.03.19) და №118-18(13.03.19).

103 „საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი.

104 მაგალითისთვის იხ.: დისციპლინური საქმეები №62-1-18, №62-2-18 და ა.შ.

105 საქართველოს საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებები [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2m1pge0, წვდომის თარიღი: 01.09.2019].

106 2019 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება №3/01-2018.

სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა – დააკისრა.[107] კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა დაეკისრა აგრეთვე მოსამართლეს სამოსამართლეო ეთიკის ნორმების დარღვევისთვის.[108]

საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება

სასამართლოში საქმის წარმოების ვადებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლიან სასამართლოზე ხელმისაწვდომობის კონტექსტში, ვინაიდან ვადების განსაზღვრა ფუნდამენტური ნაბიჯია საქმისწარმოების ეფექტიანობის გასაზომად და შესაფასებლად და დაგროვილი საქმეების რაოდენობის შემცირების გზების კონცეპტუალურად განსასაზღვრავად.[109] სასამართლო სისტემაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას სასამართლოებში საქმეთა სიმრავლე და მათი გადატვირთულობა წარმოადგენს. ეს დასტურდება როგორც ინდივიდუალურ მოსამართლეებთან პროექტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით, ისე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა განცხადებებით, სხვადასხვა კვლევებითა[110] და სტატისტიკური ინფორმაციით.[111] შესაბამისად, რთული დასადგენია, რამდენად შეიძლება საქმის განხილვის გაჭიანურებისას შეფასდეს მოსამართლის ბრალეულობა. საკამათოა, უსაფუძვლო გაჭიანურება გარკვეული დროის პერიოდში მოსამართლის მხრიდან განხორციელებული თუ განუხორციელებელი ქმედებების რაოდენობაში უნდა ვეძებოთ თუ მოსამართლის განზრახვაში ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, საქმე დროულად არ დაასრულოს.[112]

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, სადისციპლინო კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.[113] ამისთვის, მან უნდა დაადგინოს, ჩაიდინა თუ არა მოსამართლემ ქმედება, არის თუ არა აღნიშნული ქმედება დისციპლინური გადაცდომა და მიუძღვის თუ არა ბრალი მოსამართლეს. მხოლოდ სამივე გარემოების დადასტურებისას შეუძლია სადისციპლინო კოლეგიას მიიღოს გადაწყვეტილება მოსა-

107 2018 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება №2/01-2018 და 2019 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება №5/01-2018.

108 2019 წლის 21 იანვრის საქმე №4/01-2018.

109 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება №22/18.

110 მაგალითისთვის, იხ: PROIoG-ის ხელშეწყობით მომზადებული კვლევა „საქართველოში მოსამართლეების საჭირო რაოდენობის შეფასება“, [ხელმისაწვდომია: http://ewmi-prolog.org/images/files/4566Assessmentofthenee dforjudgesinGeorgia-ENG.pdf, წვდომის თარიღი: 01.09.2019].
აგრეთვე, IDFI-ს კვლევა „საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა თბილისის საქალაქო სასამართლოში – 2015-2018 წლების პრაქტიკა“. [ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/public/upload/Deadline%20Compliance%20in%20Tbilisi%20City%20Court.pdf, წვდომის თარიღი: 01.09.2019].

111 მაგალითისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკური ინფორმაცია წლების მიხედვით [იხ: http://tcc.gov.ge/ka/Statistics, წვდომის თარიღი: 01.09.2019].

112 აღნიშნული არ გულისხმობს მოსამართლის მხრიდან ისეთ ქმედებებს, რომელიც თავისი შინაარსით სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს.

113 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[44] მუხლის 1-ლი პუნქტი.

მართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იღებს გამამართლებელ გადაწყვეტილებას.[114]

კოლეგია ყველა აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მსჯელობს, თუ როდიდან შეიძლება საქმე ჩაითვალოს გაჭიანურებულად და რას ნიშნავს ტერმინი „უსაფუძვლო". საქმის განხილვის არაგონივრული ვადების დასადგენად, დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების მსგავსად, კოლეგიას მოხმობილი აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც აფასებს (ა) საქმის სირთულეს, (ბ) საქმის მიმდინარეობისას მხარეთა ქმედებებსა და (გ) საქმის განმხილველი მოსამართლის ქმედებებს.[115]

სადისციპლინო კოლეგიის შეფასებით, ერთი წლისა და 10 თვის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედებების განუხორციელებლობა ცალსახად წარმოადგენს საქმის განხილვის „ბრალეულ" გაჭიანურებას. თუმცა, კოლეგია მის გამომწვევ ფაქტებზე არ მსჯელობს. ინსპექტორისა და საბჭოსგან განსხვავებით, კოლეგია არ მსჯელობს, როგორი იყო მოსამართლის დატვირთვა, სირთულის მხრივ, რა კატეგორიის საქმეების განხილვა უწევდა იმ პერიოდში, როდესაც კოლეგიამ მოსამართლის ქმედებაში დისციპლინური გადაცდომის ნიშნები დაადგინა.[116]

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა სადისციპლინო კოლეგიის პრაქტიკა. კოლეგია მხოლოდ გამამართლებელ გადაწყვეტილებაში აფასებს მოსამართლის გადატვირთულობას,[117] სხვა შემთხვევებში[118] კი, მოსამართლის ბრალეულობა მოსამართლის გადატვირთულობის შეუფასებლად დგინდება. ამასთან, ისეთი გარემოებების არსებობისასაც კი, როდესაც გაჭიანურება გამოწვეულია საქმეთა სიმრავლით, თანაშემწის გარეშე და შეთავსებით მაგისტრატი მოსამართლის ფუნქციებით.[119]

კოლეგია გამამართლებელი გადაწყვეტილების დადგომისას მსჯელობს ლოგიკურ არგუმენტაციაზე, კერძოდ, სასამართლოს შიდა ფაქტორზე, როგორიც არის მოსამართლის გადატვირთულობა და მოსამართლეთა ნაკლებობა, ანუ ეფექტიანი მართლმსაჯულებისთვის საჭირო მოსამართლეთა დეფიციტი.[120] აღნიშნული გარემოების შეხედულები-

114 იქვე.

115 იხ. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2019 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება №5/01-2018 და №3/01-2018.

116 საქართველოს საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიის 2018 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება №2/01-2018.

117 2019 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება №3/01-2018.

118 გადაწყვეტილებები შეფასებულია სასამართლო სისტემის „მესამე ტალღის" ცვლილებების ამოქმედების შემდეგ.

119 საქართველოს საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიის 2018 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება №2/01-2018.

120 საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2019 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება № 3/01-2018.

სამებრ გამოყენება სხვადასხვა გადაწყვეტილებებში, პასუხგაუცემელ კითხვებს აჩენს და ერთგვაროვანი, თანმიმდევრული პრაქტიკის არსებობის აუცილებლობაზე მიუთითებს. სასამართლოებში მოსამართლეთა სიმცირე და გადატვირთულობა საქმის განხილვის გაჭიანურების ობიექტურ მიზეზებს წარმოშობს. საქმის განხილვის გაჭიანურებისთვის მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიცავს მოსამართლის დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკებს და შესაძლოა, რომ მათზე ზემოქმედების ბერკეტად იქნას გამოყენებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დადგინდეს, იყო თუ არა ვადების დარღვევა ობიექტური გარემოებებით განპირობებული.

სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა

სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევის კუთხით საინტერესო გადაწყვეტილება აქვს სადისციპლინო კოლეგიას. დისციპლინური საჩივრის ავტორი მიუთითებდა მოსამართლის მხრიდან საქმის განხილვისას გამოჩენილ შეუფერებელ ქმედებაზე, რომლითაც სასამართლოს ავტორიტეტი და ნდობა ილახებოდა.[121] კერძოდ, მოსამართლემ მხარეს სასამართლო პროცესზე გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ დასაბუთებას არ დაამადლიდა.

მოსამართლის ახსნა-განმარტების თანახმად, მხარის წარმომადგენელი განზრახ არიდებდა თავს სასამართლოს მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას და ცდილობდა სასამართლოს ყურადღება სხვა საკითხზე გადაეტანა, პოლემიკა კი, მოსამართლესა და წარმომადგენელს შორის, წმინდა სამართლებრივ საკითხზე გაიმართა. მიუხედავად მოსამართლის ახსნა-განმარტებისა, კოლეგიამ გამოიყენა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება და მოსამართლეს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართა.

კოლეგიის განმარტებით, აუდიო ოქმის მოსმენის შედეგად ნათელი იყო, რომ მომჩივანთან საუბრისას მისი მხრიდან არ გამოყენებულა ისეთი სიტყვათა წყობა, არათავაზიანი მიმართვის ფორმა ანდა ინტონაცია, ხმის ტემბრი, რაც ადვოკატის მიმართ მის ირონიულ დამოკიდებულებაზე მიუთითებდა. თუმცა, მოსამართლის მხრიდან ადვოკატისადმი, ან უშუალოდ მხარისადმი მიმართვა – „არ დაგამადლით გადაწყვეტილების დასაბუთებას“ – არასწორი იყო და ამგვარი ფორმით სასამართლოს ადვოკატისათვის არ უნდა მიემართა. აღნიშნული სიტყვათწყობა სადისციპლინო კოლეგიის მიერ არაეთიკურ მიმართვად შეფასდა, ვინაიდან ზეგავლენას ახდენდა სასამართლო სისტემის პრესტიჟზე, რაც პირდაპირ აისახებოდა სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობაზე. კოლეგიის განმარტებით, ყველა მოსამართლემ უნდა გააცნობიეროს

121 საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2019 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება № 4/01-2018.

და გაითვალისწინოს, რომ მოსამართლის მაღალი სტატუსიდან გამომდინარე, თითოეული მათგანის საქმიანობა საზოგადოების მუდმივი, ლეგიტიმური ინტერესის საგანია. ამიტომ, მოსამართლეს უნდა ეზრუნა მთლიანად სასამართლო ხელისუფლების პროფესიონალიზმის, სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობისადმი საზოგადოების რწმენის დამკვიდრებასა და ამაღლებაზე. კოლეგია აგრეთვე აღნიშნავს, რომ თითოეული მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს არა მხოლოდ საკუთარ, როგორც ცალკე აღებული მოსამართლის და პიროვნების ავტორიტეტს და პრესტიჟს, არამედ მთლიანად სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ არ არსებობს ერთიანი პრაქტიკა ისეთ ზოგად და შეფასებით საკითხზე, როგორიც სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევაა. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს კანონმდებლობაში გაწერილი გადაცდომის სახეების კონკრეტიკის საჭიროებაზე, რათა კანონი უფრო ნათელი და განჭვრეტადი იყოს.

VI. სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2019 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეების საჩივრებთან დაკავშირებით 4 საქმე განიხილა.[122] ყველა საქმე 2005-2007 წლების სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებების გასაჩივრებას ეხებოდა, რომლითაც ხსენებული მოსამართლეები დისციპლინური პასუხისმგებლობის წესით გათავისუფლდნენ თანამდებობიდან.[123]

ყველა ეს საქმე სადისციპლინო პალატამ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიაში დააბრუნა. ახლად აღმოჩენილი გარემოებები სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იყო. სადისციპლინო პალატამ სადისციპლინო კოლეგიის ყველა გადაწყვეტილება (2005-2007 წლებში მიღებული გადაწყვეტილებები) გააუქმა და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნა. მათგან ერთ საქმეზე სადისციპლინო კოლეგიამ საქმე ხანდაზმულობის საფუძვლით შეწყვიტა, რომელიც მხარემ სადისციპლინო პალატაში კვლავ გაასაჩივრა, თუმცა პალატამ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

122 2019 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №სსდ-11-18, 2019 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №სსდ-04-19, 2019 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №სსდ-06-19 და 2019 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №სსდ-21-19.

123 სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები [ხელმისაწვდომია: http://www.supremecourt.ge/court-decisions/disciplinary-cases/ წვდომის თარიღი: 01.09.2017].

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე არ იძებნება ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში კანონმდებლობაში შესული ცვლილებების გათვალისწინებით იქნება მიღებული.

რეკომენდაციები

- ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების ხელშესაწყობად, კორპორატივიზმის განცდის თავიდან ასაცილებლად და სასამართლოს მიმართ მოსახლეობის ნდობის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანია მოსამართლეთა დისციპლინურ სამართალწარმოებაში ჩართულმა ორგანოებმა დროულად, ობიექტურად და ეფექტიანად უპასუხონ მოსამართლეთა დისციპლინურ გადაცდომებს;

- მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში, მნიშვნელოვანია ისეთი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც თავიდან აიცილებს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გაჭიანურებას. ასეთი შესაძლოა იყოს დისციპლინურ საქმეებთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების სიხშირე;

- მნიშვნელოვანია, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი და თანმიმდევრული პრაქტიკა. ეს ეხება როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ისე სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებებს;

- მნიშვნელოვანია, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომების ინტერპრეტაციისას თავიდან იქნეს აცილებული ნორმის ფართო განმარტება, რათა გამოირიცხოს ინდივიდუალურ მოსამართლეზე ზემოქმედების რისკები;

- დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტის შემდგომი დახვეწა და პარლამენტის მიერ მისი დროულად მიღება;

- მნიშვნელოვანია, დისციპლინური გადაცდომის სახეები ითვალისწინებდეს პასუხისმგებლობას მოსამართლის ქმედებისთვის, რომელიც ნათლად ჩამოყალიბებულ სამართლის ნორმას ეწინააღმდეგება და რომელთან დაკავშირებითაც არ არსებობს ბუნდოვანება, თუ აღნიშნული ქმედება მოსამართლემ ჩაიდინა ცხადი და დამაჯერებელი არაკეთილსინდისიერებითა და ადამიანის უფლებების უპატივცემულობით, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (legal error plus). აღნიშნულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, დისციპლინური პასუხისმგებლობა დადგეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით შეცდომის დაშვების დადასტურებისას (სადაც ასეთი არსებობს);

- დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერების მხრივ, მნიშვნელოვანია, „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში შემუშავებულმა კანონპროექტმა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში არამოსამართლე წევრების რეალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად, გაითვალისწინოს დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევა საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3-ით;

- დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის მეტი გამჭვირვალობისთვის, მნიშვნელოვანია, კანონპროექტმა გაითვალისწინოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნების, ასევე დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნება, მხარეთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვით;

- სადისციპლინო კოლეგიის მიერ სამართლიანი (წევრთა უმრავლესობის აზრის მაქსიმალურად გათვალისწინების შესაძლებლობა) გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, კანონპროექტმა გაითვალისწინოს კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღება სრული შემადგენლობის უმრავლესობით.